# მომავალი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 102 ოთხშაბათი, 30 დეკემბერი 1909 წ. № 102

გაზეთი „მ ო მ ა ვ ა ლ ი“ ღირს როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ე რ თ ი წ ლ ი თ 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. თვიურათ: თფილისში 80 კაპ. თფილისს გარეთ 90 კ. სამი თვით თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კაპ. საზღვარ გარეთ—ორჯერ მეტი იმაზე, რამდენიც თფილისში ღირს.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ე ბ ს ფ ა ს ი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—15 კაპ. უკანასკნელ—ზე 10 კაპ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე 3 მან. 4 საათის შემდეგ—მეტი. გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველი რიცხვიდან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპოდენციები არ ინახება და მათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. ადრესის გამოცვლა თფილისიდან თფილისს გარეთ ღირს 80 კაპ. სხვაგან—40 კაპ. ცალკე ნომერი ღირს ყველგან ე რ თ ი შ ა უ რ ი. რედაქციის ადრესი: თფილისი, რუსის ქუჩა № 3.



ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ცალკე ნომერი ერთი შაური

„მ ო მ ა ვ ა ლ ი“

ცალკე ნომერი ერთი შაური

## მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის.

გ ა ზ ე თ ი ღ ი რ ს:

თფილისსა და თფილისს გარეთ: ერთი წლით 7 მანეთი, ნახევარი წლით 4 მან., საზღვარგარეთ: ერთი წლით 14 მან., ნახევარი წლით 7 მან. სამი თვით: თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კ., ერთი თვით: თფილისში 80 კაპ., თფილისს გარეთ 90 კაპ.

ხ ე ლ ი ს მ ო წ ე რ ა მ ი ი ღ ე ბ ა:

თფილისში „მომავალი“-ს კანტორაში, ბათუმში, სამტრედიაში და ჭიათურაში რკინის გზის შკაფებში, ქუთაისში ის. კვიცარიძესთან, ჩოხატაურში ს. თავართქილაძესთან—წიგნის მაღაზიაში, ოზურგეთში—ს. თალაკვაძესთან, ხიდისთავში ნ. კობიძესთან, ფოთში ს. ორაგველიძესთან. დანარჩენ ადგილებიდან ფოსტით უნდა გამოგზავნონ ფული რედაქ. კანტორაში.

რადგან ადრესების დამზადება ბევრ დროსა და შრომას მოითხოვს—იმ ხელის მომწერლებმა რომელთაც მომავალი წლის 1 იანვრიდან სურთ გაზეთის მიღება, აუცილებლათ ამა წლის დეკემბრის გასვლამდე უნდა მოაწერონ ხელი.

რედაქციის ადრესი: რუსის ქ. № 3, ზემო სართული.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, тип. «Шрома», Калистрату Конст. Цуладзе.


## დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

29 დეკემბერი.

**თეირანი.** სპარსეთის ელჩათ პეტერბურგში დაინიშნა ურმიის გუბერნატორი მუხტეშამუს—სულტანე.

### ოსმალეთი

**სტამბოლი.** ხაკკი ბეის და ყოფილ მინისტრების თათბირმა დიდხანი გასტანა. გამოირკვა, რომ თავიანთ თანამდებობაზე დარჩებიან ფინანსთა მინისტრი დჟავიდი და შინაგან საქმეთა ტაალატბეი. სამხედრო მინისტრის პორთფელი გენერალისსიმუს მახმუტ-შეფკეტ—ფაშას შეაძლიეს, საგარეო საქმეთა მინისტრობას ხაკკი ბეი ჯერ თავისთვის იტოვებს.

**სტამბოლი.** მოლაპარაკებიდან გამოირკვა, რომ ფინანსთა და შინაგან მინისტრების გარდა თავიანთ ადგილებზე დარჩებიან გზათა, იუსტიციის და საგარეო საქმეთა მინისტრები. უკეთუ მახმუდ შევკეთ-ფაშამ უარი სთქვა სამხედრო მინისტრობას სენატორ საბი-ფაშას ჩააბარებენ. საზღვაო, ვაკუფების და განათლების მინისტრების ადგილები ჯერ თავისუფალია.

**ტოკიო.** გაზეთები თანაგრძნობით მიეგებენ შეერთებული შტატების წინადადებას მანჯურიის რკინის გზის გამოყიდვის შესახებ, რადგან ეს რუსეთ იაპონიის ინტერესებს ერთგვარათ დაარღვევს.

**ლონდონი.** მინისტრთა საბჭოს სხდომაზე მეფემ ხელი მოაწერა პარლამენტის დათხოვის და 2 თებერვალს ხელ ახლა მოწვევის შესახებ დეკრეტს.

### რუსეთი.

**პეტერბურგი.** გაიხსნა პირველი სრულიად რუსეთის სიეზდი ლოთობის წინაალმდეგ ბრძოლის შესახებ სიეზდი ერთ კვირას გასტანს.

**ვილნო.** გაიხსნა ებრაელ ქალთა პროფესიონალური განათლების სიეზდი. დაესწრო 120 დელეგატი.

**პეტროვსკი.** მეორე დღეა დიდი თოვლი მოდის. უკვე სამ არშინამდე დასდო. ზოგიერთ სახლების სახურავები ჩაინგრა. მატარებლები აღარ მოდის, მოძრაობა შესწყდა.

**პეტერბურგი.** პეტერბურგის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსმა აცნობა კუნძულ ლავენრამის უფროსს, რომ 24 დეკემბერს მოფრინდა მტრედი, რომელსაც ფეხზე რკინის ბეჭედი ქონდა გაკეთებული ზედ წარწერით „113 ზღ. იაკორი 07“.

**ადესა.** დაიწვა ფლეტლამის წისქვილი, ზარალი 300 ათასი მ.

**ჰელსინგფორსი.** საშუამავლო ფირმა შარედერი გამოტყდა, რომ მან მიიღო 1909 წელს 15 რკინის ყუთი იარაღით და პატრონებით. იარაღი აბოს და სხვა ქალაქების მაღაზიებში მიქონდათ. ყუთებს ისევ უკან აბრუნებდენ საზღვარგარეთ. ეხლა დამოჟნაში სასტიკ თვალყურს ადევნებენ და ყველა საქონლებს ამოწმებენ.

**სმოლენსკი.** სახალხო განათლების მოყვარეებმა გრაფ კელლერის მეთაურობით სახალხო სკოლებისთვის თვალსაჩინო სასწავლო ნივთების გამოფენა გამართეს.

**მოსკოვი.** გაიხსნა ბუნებისმეტყველთა და ექიმთა მეთორმეტე სიეზდი. დაესწრო 4500 კაცზე მეტი.

### შ ა ვ ი ჭ ი რ ი.

**ასტრახანი.** ავათ გახდა აკბალიკში 2.

**ჯედდა.** შავი ჭირი გაჩნდა.

**ურალსკი.** 20—26 დეკემბრამდე ავათ არავინ გამხდარა. ავათმყოფთაგან მოკვდა 4, მორჩა 1.

## წერილები სპარსეთიდან

24

**თავრიზისა და თეირანის სატუსაღოები.**

როდესაც რევოლიუციონერებმა რეშტი-ყაზვინი აიღეს, პირველ ყოვლისა ერთ დიდ მოედანზე მოაგროვეს საწამებელი იარაღები, შეიკრიბა დიდძალი ხალხი, შეიქნა ყიჟინა: დაამტვრიეთ ჩვენი მონობისა და თავისუფლების შემბოჭველი


## გლეხი კაცის ისტორია

მიიღება ხელის მოწერა

„გლეხი-კაცის ისტორია“-ზე

ცნობილი თხზულება ერკმან-შატრიანისა. სრული თარგმანი ფრანგულიდან **ივ. მაჭავარიანის** მიერ, ავტორთა სურათებით და მათი ბიოგრაფიული ცნობებით.

**შ ი ნ ა ა რ ს ი  წ ი გ ნ ი ს ა:**

ნაწილი პირველი—1789 წ. საერო კრება.
ნაწილი მეორე—1792 წ. სამშობლო განსაცდელში.
ნაწილი მესამე—1792 წ. წელიწადი პირველი რესპუბლიკისა.
ნაწილი მეოთხე—1789 წ. მამულიშვილი ბონაპარტი.

ოთხივე ნაწილი ერთ წიგნათ გამოვა დაახლოვებით 1100 გვერდამდე დიდი ფორმატის. ხელის-მოწერით ეღირება მხოლოდ **ერთი მანეთი.**

ხელის-მოწერა დაიწყო ამა 1909 წლის 15 ნოემბრიდან, გაგრძელდება 1-ლ იანვრამდე მომავალ 1910 წლისა. ხოლო ამ დღიდან შესწყდება ხელის-მოწერა და ორი კვირის შემდეგ წიგნის ბეჭდვას შევუდგებით. დაიბეჭდება **იმდენი, რამდენიც ხელის-მომწერი იქნება.**

ვისაც სურს ამ წიგნის შეძენა, უნდა ეცადოს უსათუოდ 1-ლ იანვრამდე მოაწეროს ხელი, ვინაიდგან ეს წიგნი **ცალკე გასასყიდათ არ გამოვა.**

იმ ადგილებიდან, სადაც ჩვენ აგენტები არ გვყავს, ხელის-მომწერლებმა ერთი მანეთის გარდა უნდა გამოგზავნონ კიდევ ა თ ი შ ა უ რ ი ფოსტის ხარჯათ ე. ი. სულ 1 მ. 50 კ. თითო წიგნზე; ფულის მაგიერ შეიძლება ფოსტის მარკების გამოგზავნაც საგანგებო წერილით. (ЗАК. ПИСЬМО). გამომცემლობა ეცდება წიგნი დანიშნულ დროზე გამოსცეს. გამოცემის ტეხნიკური მხარე მტკიცე ნიადაგზე დავაყენეთ და ისეთი დაბრკოლება, როგორიც მოხდა „ეკონომიურ მეცნიერების მოკლე კურსი“-ს გამოცემაზე, ამიერიდან აღარ განმეორდება. წიგნი დაახლოვებით პირველ აპრილისთვის დაურიგდება ხელის-მომწერთ.

თუ სად და ვისთან მიიღება ხელის მოწერა, ამის შესახებ იხილეთ ცალკე განცხადება, რომელიც «მომავალის“ და „დროები“-ს 6 დეკემბრის ნომრებთან ერთად დაურიგდა ხელის მომწერთ.

ფული და სხვა მიწერ-მოწერის ქაღალდები, აგენტურის და ხელის-მოწერის შესახებ უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Василію Гадилія. Кирочная ул. № 9.

წიგნების გამომც. ამხ. „ალიონი“-ს გამგე ვასილ გადილია.

(20—18)

## თფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით. ღია არის ყოველ დღე გარდა მოსიარულე ავათმყოფთათვის.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.** შინაგან და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა კვირისა 11—12 ს.

**ბედევანიშვილი მ. ა.** ნერვების და ელ. ორშაბ., ოთხშ. და პარ. $10\frac{1}{2}$—11.

**გურკო გ. ა.** შინაგანი. შაბათს 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბათობით 9—10 ს.

**კარშინი ა. ა.** კანისა და ვენ., ყოველ დღე, კვირას გარდა $2\frac{1}{2}$—$3\frac{1}{2}$ ს.

**მაღალაშვილი გ. მ.** შინაგ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინაგანი. ორშაბათ., ოთხშ. და პარ. 1—2 ს.

**მელიქიშვილი ნ. მ.** ქირურგ. და დედაკ. ყოველ დღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის. ორშაბათ. ოთხშ. და პარსკ. 2—$2\frac{1}{2}$ ს.

**ფირადოვი რ. ბ.** ქირურგ., ყოველ დღე 11—12 ს.

**პოპოვი ბ. ა.** ყურის, ყელის და ცხვირის, ყოველ დღე, გარდა პარ. 2—$2\frac{1}{2}$ ს.

**რცხილაძე ნ.** კბილ. ყოველ დღე 9—10 ს,

**სოგოლევსკი გ. ვ.** ქირურგ. ყოველ დღე. 9—11 ს.

**თიკანაძე ი. ე.** დედაკაც. სნებიო. ყოველ დღე 1—2 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკრო-ქიმიური და ბაქტეროლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. (100—62)

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია, კონსულტაცია, ელექტრონით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და შეღავათიანი საფასურით.

## ვოგზლის კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვოგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695)

**ექ. ს. ვაშაკიძე** კბილის ავათმყ. ყოველ დღე 10—11 ს.

**ექ. ი. გომართელი** ყოველ დღე 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ. ავათმყ.

**ექ. ა. ნ. დიასამიძე:** ყოველ დღე $11\frac{1}{2}$—$12\frac{1}{2}$ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

**ექ. ნ. მ. მელიქიშვილი:** ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

**ექ. ბ. ა. პოპოვი:** ყოველ დღე, გარდა ... 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის

**ექ. ვ. ს. მუსხელიშვილი:** სამშაბათს ხუთ. და შაბათს 2—$2\frac{1}{2}$ ს.; თვალის ავათმყოფ.

**ექ. ე. გ. ფედოროვი:** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირ. 11—12 ს. შინაგანი და ბავშვ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით.

(100—62)

წარმოდგენა 23. **ქართული თეატრი** აბონიმენტი 11.

**ხუთშაბათს**, 31 დეკემბერს 1909 წ. ქართული დრამატ. საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ქ-ნ ნ. კოლხიდელის მონაწილეობით ისტორიული პიესა ალ. სუმბათაშვილისა

## ღალატი

5 მოქმედებათ თარგ. გრ. ყიფშიძისა.

**მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.**

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

**დასაწყისი სწორეთ საღამოს 8 საათზე.**

შემდეგი წარმოდგენა—2 იანვარს.

მორიგი რეჟისორი ... მესხი. რეჟისორის თანაშემწე მ. ურუშაძე.

დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.

თფილისის სახაზინო თეატრი

საოპერო ამხანაგობა ანტონ ეიხენვალდის გამგეობით

ოთხშაბათს, 30 დეკემბერს
**„გამარჯვებული სიყვარულის სიმღერა“**
თანამშრომლები ქ-ნნი: ვიკჟემსკაია, გოლსკაია, ოსოვსკაია; ბ-ნნი: გალეცკი, კოჩმაროვი, კუზმინი, ნოვაკოვსკი, სოკოლსკი.
ხუთშაბათს, 31 დეკემბერს
**„ ქ ა მ ო რ რ ა “.**
პარასკევს, 1 იანვარს 1910 წ.
დილით: **ნერონი.** საღამოს: **„ევგენი ონეგინი“.**
შაბათს, 2 იანვარს
ელენე ოსოვსკაიას საბენეფისოთ 1) **„ბელოსნეჟკა“** 2) **«კნიაზ იგორ“**
კვირას, 3 იანვარს
დილით: **„მეფის შვილი ივანე“** საღამოზე: **„ტაისი“**

მზადდება დასადგმელათ ფონ-დ'ერიასმგერის **„მონუკარის ჯალათი“.**

დ. ქიათურაში **კბილის ექიმი**

## ე. ტ. ლორის-მელიქოვი

ღებულობს ავათმყოფებს დილის 10—2 საათამდე და ნაშუადღევის 4 საათიდან 8 საათამდე.

ადრესი: გ. გაჩეჩილაძის სახლი, ვოგზლის ახლო.

კბილის ექიმი

## ი. შ. ჭანტურია

იღებს ავათმყოფებს დილით 8—12 ს. საღამოთი 3—7 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათ. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს).

კბილის ექიმი

## ს. ვაშაყმაძე

დილით მიიღება ავათმყოფები 11 საათიდან 2 საათამდის. საღამოს 5—7 ვერის დაღმართი სახ. 15.

კბილის ექიმი

## რომანშვილი—დგებუაძისა

იღებს ავათმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასათ. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ახალი ბინა: ავჭალის ქუჩა № 34.

ფ ე რ შ ა ლ ი

ლ ე ო ნ ტ ი  ბ ა რ კ ა ლ ა ი ა

დაბრუნდა და განაახლა ავათმყოფთა მიღება შუადღის 3—6 საათამდე.

**ადრესი:** გოგოლის ქუჩა, № 68.

იანვრის პირველ რიცხვებში 1910 წ. ქალ. **ბაქოში** გამოვა ქართულ ენაზე ყოველ კვირეული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „მ ა რ ც ვ ა ლ ი“

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის

გაზეთის ფასი: ერთი წლით 3 მ. 20 კ.
„ „ ნახევარის „ 1 მ. 70 კ.
ცალკე ნომერი . . . . . . 05 კ.

ყოველგვარი წერილები და აგრეთვე ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Баку, типографія Эриванцева, въ редакцію груз. газеты «МАРЦВАЛИ»

რედაქტორ-გამომც. ვ. გელოვანი.

ვ ი ღ ე ბ

## რემინგტონზე

ყოველნაირ გადასაბეჭდ საქმეებს. საქმეს ვასრულებ სუფთად და იაფ-ფასებში. ადრესი: წყნეთის ქუჩა, № 6, ბინა № 14. მიში ს—ძე. (7—5)

ძმ. ზუბალაშვილების სახ. სახლი.

ხუთშაბათს, 31 დეკემბერს,

სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ სცენის მოყვარეთა წრის-მიერ კ. ნ. შათირიშვილის რეჟისორობით

წარმოდგენილი იქნება:

I

**„გაცრუებული იმედი“**

კომ. ორ-მოქმედებათ ნ. აზიანისა

II

**„პარიზელი ბიჭი“**

პიესა ორ-მოქმედებათ **დ. ერისთავისა.**

წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს სცენის-მოყვარეთა მთელი დასი.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

**ადგილების ფასი 1 შაურიდან ათ შაურამდეა.**

რეჟის. **კ. შათირიშვილი**

ადმინისტრ. **ლ. ვახვახიშვილი.**

## ახალი კლუბის საბჭო

აუწყებს ბ-ნთ წევრებსა და აგრეთვე კლუბის წევრებათ ჩაწერის მსურველებს, რომ **საწევრო ფულის მიღება და ახალის წევრების ჩაწერა** სწარმოებს კლუბის კანცელიარიის დროებით სადგომში (სათავად-აზნაურო ქარვასლა, სასახლის ქუჩა) ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში 30 დეკემბრიდან 1910 წლის 10 იანრვამდე ყოველდღე დილის 10-დან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოთი 6-დან 8 საათამდე. (3—1).

დ. ჩოხატაურში

## წიგნის მაღაზიაში

მიიღება ხელის მოწერა „მომავალზე“ და აგრეთვე ყოველგვარ ქართულ-რუსულ ჟურნალ-გაზეთებზე. **გლეხი კაცის ისტორიაზე** კი, მხოლოდ პირველ იანვრამდე. ვღებულობთ ამასთანავე ყოველგვარ სასტამბო და წიგნების ყდების „ზაკაზებს“. (10—6)

ხუნდები, მარწუხები და ჯაჭვებიო! აზვირთებული ხალხი ამსხვრევს სხვადასხვა საწამებელ იარაღებს, ჩაქუჩებით ამტვრევს ჯაჭვებს, ხუნდებს ცეცხლში სწვავს და რაც არ იწვის „ფჩხილით და კბილით“ გლეჯს მას... ეს წამი გადაღებულია სურათზე და საუცხოვო სანახავია—ხალხის სიმხიარულე-ალტაცებას საზღვარი არ აქვს...

თეირანს ორი დიდი ციხე აქვს და ორივე მოთავსებულია ორ დიდ სასახლის ეზოში—თითქო ირანის მეფე ვერ სძლებს ისე, თუ მას გვერდზე არ ახლავს ციხე და არ ესმის ხალხის გმინვა-ვაება...

როდესაც რევოლიუციონერებმა სასტიკი იერიში მიიტანეს თეირანზე, შახმა დაჭერილი რევოლიუციონერები ბაგე-შახში გადაიყვანა და ნაწილი შიგ თეირანის სასახლეში, გულესტანში, დატოვა. აქ იყვენ დაჭერილები მუშა ჩამომსხმელი („ლიტეინშჩიკი“) 22 წლის, რომელმაც შეიხ-ფაზულა მუშტეიდს (სამღვდელოების დიდი პირი—კათოლიკოსი) რეაქციონერს ესროლა, მკერავი აჯიხანი, რომელიც მეჯლისის დანგრევის შემდეგ დაიჭირეს, პირველი პარლამენტის დეპუტატი პრინცი, რომელიც ჯაჭვებით კისერზე იყო დაბმული და რამდენიმე გამოჩენილი ჟურნალისტ პოლიტიკური მოღვაწენი.

სასახლე გულესტინი ოთხი-ხუთი ქცევა იქნება ბაღ-შენობებით, რომელსაც უზარ-მაზარი კედელი აქვს გარს შემოვლებული. სულ ბოლოში ორი დიდი კედელია დარაჯებით გაკრული. ცალ მხარეზე ერთ სართულიანი დაბალი სახლია, რომლის რიგში რამდენიმე ოთახებია ზევით და ქვემოთ სარდაფში. ამ სარდაფში კიბეა ჩასასვლელი; ეს სარდაფი ცოტა ნათელია, მარა კედლები ძლიერ სველია და ცივი. აქ დამწყვდეულ რევოლიუციონერებს კისერზე გძელი ჯაჭვები ქონდათ მობმული, ამ ჯაჭვებში გაყრილია თავიდან ბოლომდე გძელი ჯაჭვი, რომელზედაც გადაბმულია 20—25 ტუსაღი; ფეხებზე შემოჭერილი აქვთ დიდი ხის კუნძი, (ხუნდი) რომელიც სიარულს უშლის... მთელი დღე ასეა ტუსაღი.

ღამე ტუსაღებს ასე ინახავენ: სარდაფის სიგძეზე გადებულია მთელი ძირი ხე („ქორთუხი“), რომელიც ამოჭრილებია; ტუსაღებს დააწვენენ მიწაზე, ცალ ფეხს ამ ხის ამოჭრილებში გააყოფინებენ, ფეხებს რკინებით შემოაჭედენ, მთელი ხის სიგრძეზე დამწკრივებულია ცალი ფეხით გაკრული რამდენიმე ტყვე, ყელზე ჯაჭვი აქვს მობმული, ეს ყელის ჯაჭვი გრძელ ჯაჭვზეა გაბმული, რომლის თავი სარდაფის ორთავ მხარეს დიდ რკინის რგოლზეა გამაგრებული! საცოდავათ მიძინებულ ადამიანს გამოეღვიძება, მოინდომებს გადაბრუნებას, მარა ჯაჭვებით ტკივილს იგრძნობს და თუ ძალა დაატანა ფეხი ელრძობა!.. ბუნების მოთხოვნილებას აქვე ასრულებს ასე დაბმულ-„დაჩაირებული“! თეირანის აღების დროს ეს ჯაჭვები ახსნეს, მებრძოლნი გაანთავისუფლეს და ასე, დაბმული პრინცი დღეს პარლამენტში დეპუტატათაა არჩეული თეირანის მცხოვრებთაგან, ზოგმა კი ვერ აიტანა და ტანჯვით განუტევა სული განთავისუფლების შემდეგ... ამ დაბმულთაგან 23 კაცი დღეს პარლამენტის გახსნას ხელმძღვანელობდენ...

ეს ჯაჭვები და ხუნდები ინახება ამავე ციხის ახლოს დაკეტილი. ჩვენ რამდენიმე გავლენიანი პირების შემწეობით მოვახერხეთ ორი ჯაჭვისა, ორი ხუნდის, რამდენიმე დაბმულ პირების სურათების გაგზავნა პარიჟში „ჰუმანიტეს“ რედაქციაში მუზეუმისთვის...

ამ ციხის ქვედა სართული გაუქმებულია, ზევით კი ეხლაც ზის ახალი მთავრობის მიერ შემდგარ სასამართლოების განაჩენით დატყვევებული პირები მათ მიწაზე ხალიჩა უშლიათ, კარები ღია აქვს, ქვეშაგებელი მიწაზეა გაშლილი, ფანჯარას კი რამდენიმე ქოთანი ყვავილი ამკობს და ჟურნალ-გაზეთებიც აქვთ. პატარა ეზოში აუზია და სეირნოთ დადიან. მისვლა-მოსვლა თავისუფალია შედარებით

დღეს სპარსეთში ყველა საწამებელი იარაღი მოსპობილია, ხალხი შიშით აგინებს მათ. სამღვდელოებას თუმცა ჩამორთმეული აქვს კანონმდებლობის უფლება, მარა სასამართლოებში კი მოლები მეტი არიან და მათი უფლება-გავლენა დიდია: ამ ციხებში, ანუ ორმოებში დატყვებული რევოლიუციონერები დიდის მოწიწებით ინახვენ იმ ჯაჭვებს, რომლითაც ისინი იყვენ დაბმულნი და მათი გაყვითლებულნი სახე ნათლათ ამტკიცებს მათ ტანჯვაწამებას წარსულში...

**გლასა მგელაძე.**

# უკანასკნელი ფოსტა

## სპარსეთი

**სპარსეთის სესხ.** სპარსეთის მთავრობას ძალიან გაუძნელდა უცხო სახელმწიფოებიდან სესხის აება. უფულობის გამო ქვეყანა დიდ კრიზისს განიცდის. მთავრობამ გადასწყვიტა გაყიდოს ძვირფასი ნივთები, რომელიც ხაზინის განკარგულებაშია. ევროპიდან თეირანში მივიდა რამდენიმე ახვილი ვაჭარი ბრილიანტების და ოქროს შესასყიდათ.

**სამღვდელოება მეჯლისში.** სპარსეთზე ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს ნეჯეფის სამღვდელოების მანიფესტი, რომელიც მეჯლისის კონტროლს მოითხოვს სამღვდელოების მიერ დანიშნული პირებისაგან.

ამ მიზნით სამღვდელოებამ აირჩია ხუთი მსწავლული მოლა, რომელნიც პარლამენტის აუცილებელ წევრებათ ჩაირიცხებიან და მის მოქმედებას თვალყურს ადევნებენ, რომ მეჯლისმა შარიატის საწინააღმდეგო ნაბიჯი არ გადადგას.

რადიკალურ წრებში ამ მანიფესტმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.

## საზღვარ-გარეთ

**პრუსიელ ს. დ. სიეზდი.** ბერლინიდან „რ. ს.“ დეპეშით ატყობინებენ, რომ პრუსიელ ს. დ. სიეზდზე დიდი კამათი გამოიწვია საარჩევნო რეფორმის საკითხმა. სიეზდს დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. დელეგატები იყვენ ყველა საკავშირო ლანდტაგებიდან. მან ზნეობრივი და ნივთიერი დახმარება აღუთქვეს პრუსიელ ამხანაგებს მთავრობასთან ბრძოლაში. ზინგერი ამტკიცებდა, რომ პრუსიის რეფორმა—მთელი გერმანიის საერთო საქმეაო. პრუსიის რეაქცია—ლოდია გერმანიის პროგრესის გზაზე დადებულიო. მსმენელებში დიდი აღტაცება გამოიწვია ლიბკნეხტის სიტყვამ, რომელმაც სასტიკ კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა პრუსიის ბიუროკრატიზმი და მილიტარიზმი.

სიეზდმა მიიღო დეპუტატ სტრებლის რეზოლიუცია, რომელიც საჭიროთ სცნობს საარჩევნო რეფორმის განსახორციელებლათ გამოყენებულ იქნას ყოველგვარი საშვალებანი: მასსიური გაფიცვები, სახალხო დემონსტრაციები და სხვა. სიეზდმა მიიღო აგრეთვე მთელი რიგი რეზოლიუციებისა პრუსიის შინაური პოლიტიკის შესახებ, რის შემდეგაც სიეზდი დაიხურა.

**რუსეთის პოლიციის წინაამდეგ.** „ადამიანის უფლებათა ლიგამ“ პარიზში მოწოდება გამოაქვეყნა. ეს მოწოდება მიმართულია საფრანგეთის მთავრობისადმი და მოითხოვს რუსეთის პოლიტიკური პოლიციის მოქმედების მოსპობას პარიზში.

**მუშების მანიფესტი.** ინგლისში არსებობს მაღაროების მუშების ფედერაცია, რომელსაც 700,000 წევრი ჰყავს. ამ ფედერაციის აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა გამოუშვას მანიფესტი, რომელშიაც სხვათა შორის, ნათქვამია: რადგან ლორდთა პალატა მთავრობის დემოკრატიული მოქმედების წინააღმდეგია, მაღაროს მუშები მოითხოვენ ზედა პალატის სავსებით გაუქმებას, რომელიც მხოლოდ ლორდების და პლუტოკრატების ინტერესებს იცავს. მუშები მოითხოვენ აგრეთვე შემცირებულ იქნას წლოვანობა პენსიის მისაღებათ.

**ს. დ. პარტიის რეზოლიუცია.** ლონდონში 22 დეკემბერს, გრაფინია ვარვიკის თავმჯდომარეობით გაიმართა ს. დ. პარტიის მიტინგი. მიტინგმა რეზოლიუცია გამოიტანა, რომელშიაც პროტესტს უცხადებს მთავრობას, რომელსაც სურს ლორდთა პალატა შეცვლილი სახით დასტოვოს.

## რუსეთი

**ტოლმაჩევის წინადადება.** ტოლმაჩევმა ოდესის ქალაქის თვითმართველობას წინადადება მისცა 60,000 მან. გადასდოს პოლიციელთა გასაძლიერებლათ, აქედან 18,000 მან. მაძებარი პოლიციის საჭიროებისათვის. თავის განცხადებაში ტოლმაჩევი, სხვათა შორის, ამბობს: „ბოროტი ძალები, რომელნიც ქალაქის ნორმალურ ცხოვრებას არღვევენ, ჯერ სავსებით არ განადგურებულან და მოსპობილან. ამ ჟამათ ისინი მხოლოდ მიწყნარდენ და დროებით იარაღი დაყარეს. ქალაქის საბოლოოთ დასამშვიდებლათ საჭიროა პოლიციელთა რიცხვის გამრავლება, რისთვისაც ქალაქმა საჭირო თანხა უნდა გადასდოსო.

**დეპ. მარკოვის ჯამაგირი.** ორი წელიწადია, რაც მარკოვი სახელმწიფო დუმის დეპუტატათ არის. ამავე დროს მარკოვი კურსკის საგუბერნიო თვითმართველობის წევრათ ითვლება და სათანადო ჯამაგირსაც ღებულობს. ასე რომ, დეპ. მარკოვი ორმაგ ჯამაგირს ღებულობს: სახ. დუმიდან—დეპუტატობისათვის და კურსკის საგუბ. თვითმართველობისაგან — წევრობისათვის, თუმცა თვითმართველობის წევრობას ის მხოლოდ სახელით ატარებს. კურსკის თვითმართველობის ახალ თავმჯდომარეს, რომპს საერობო კრებისათვის პირდაპირ განუცხადებია, რომ თანამდებობაზე უარს ვიტყვი, თუ თვითმართველობის წევრებათ ნამდვილ მუშაკებს არ მომცემთ. ისეთი წევრები, რომელნიც მხოლოდ წოდებას ატარებენ და ჯამაგირს ღებულობენ—თვითმართველობიდან დაუყონებლივ უნდა გამოირიცხონო. დეპ. მარკოვს იმდენი უტიფრობა კიდევ გამოუჩენია, რომ სამი თვის ჯამაგირი კიდევ უთხოვია თვითმართველობისათვის.

## ოსმალეთი

**სერბიელების განდევნა.** როგორც „რ. ს.“ სალონიკიდან ატყობინებენ, უსკიუბის ვილაეტში ოსმალეთის მთავრობამ სერბიის ქვეშევრდომ მასწავლებლებს წინადადება მისცა ოსმალეთის ტერიტორია დასტოვონ. ამ განკარგულების გამო სერბიის ელჩმა განმარტება მოსთხოვა ოსმალეთის მთავრობას; მოსალოდნელია სერიოზული კონფლიქტი.

## ქ-ნი უარდროპი.

(წერილი ლონდონიდან).

8 (21) დეკემბერს ცივ სამარეს მივაბარეთ ქართული მწიგნობრობის დაუღალავი მუშაკი და ქართველ ხალხის გულწრფელი მეგობარი ქ-ბ-ი უარდროპი. იგი გარდაიცვალა ქ. ბუქარესტში მის ძმასთან, რომელიც იქ ინგლისის გენერალური კონსულის თანამდებობას ასრულებდა. შემდეგ ის მოასვენეს ლონდონიდან სულ 3—4 საათის სავალზე პატარა და კოხტა ქ. სევენოკში და იქ დაასაფლავეს მის სახლეულობის აკლდამაში.

დილა ადრიან გავედით მატარებლით ნისლით დაბურულ ლონდონიდან ოთხიოდე ქართველი და ჩქარა ამოვყევით თავი სევენოკში. იქ ძალზე ციოდა, მაგრამ მზის ბრწყინვალე კაშკაში ნათლათ გვიშლიდა თვალ-წინ სუფთა და კოპწია ქალაქის არე-მარეს. ჩვენ მივაშურეთ აღმართ აღმართ ადგილობრივ საყდარს,

# მ თ ა ს

—

არ მიყვარს მთაი მაღალი
და მისი ბუმბერაზობა:
არც მრისხანება ეტყობა
სახეზე და არც ნაზობა!
დაუდებულა უგრძნობლათ,
ცხოვრებას განშორებული
და მაღლით დასცქერს ქვეყანას,
ვით მეფე მირონცხებული.
ირგვლივ—ხევ-ხუვი უგალი,
კალმა შიტალო კლდენია,
მიუწდომელი მწვერვალი
ცათამდის ანაზიდენია,
უმსგავსო მცენარეები,
უნაზო ყვავილებია,
სვავნი, არწივნი, ყორნები,
აფთარნი, ტურა-მგლებია—
განა კარგს რამეს ჩადიან,
ან ამშვენებენ ბუნებას?
არა, ეს ხროვა მოსისხლეთ
ცდილობს მის დაძაბუნებას!
კალმოიჭრება აფთარი,
სოფელს დააწყდის შირადა,
მგელი და ფოცხვი ბარელებს
სისხლს უშრობს უფრო ხშირადა.
მოსწყდება უცებ არწივი
მწვერვალსა მაღლა მთისასა,
მოსისხლეთ უნდა დაეცეს
სოფელს, ვით ბანაკს მტრისასა.
მოსტაცა დედას, ჭვარში
აწიდა პირმშო პატარა,
მაგრა ჩაბღუჯა კლანჭებში,
სოფელი გადმოატარა;
დედის ტირილი, ვგირილი
მან მიიხნია არადა
და მაღალ მწვერვალს დააჯდა...
—ძირს დედა მოსთქვამს მწარადა;
ღრუებს იხოკავს, თმას იგლეჯს,
მესტირის არე-მარესა,
მაგრამ მიდამო მაღალი
არ გრძნობს დედის ცრემლს მწარესა.

—

სისხლის მსმელების ბუდე ხარ,
მთაო მაღალო, გრძნეულო,
შენსავით ზვიად კაცთათვის
საქებრათ გაღაქცეულო!
ხან შენს კალთებში მცხოვრებელ
ხალხსაც კი გაავეღურებ
და, ქურდულათ ბარს არბევს,
ერთსაც არ უსაყვედურებ!
მუხანათსა და მოსისხლეს
აღზრდი და გზავნი ბარათა,
იქ რო სისხლს დაღვრის, შენსკენვე
მორბის თავშესაფარათა!
და ეს ხელობა საზარი
შენ კი გმირობა გგონია?!
შეგირცხვეს, მთაო, მწვერვალი
და სვავნი მაზედ მჯდომია!
შენ გმირი ბარათ მონახე,
ოფლი რომ ხასდით დვარადა,
ქვეყანას სარჩოს უმზადებს,
სიმდიდრეს უქმნის მარადა!
თუ საჭიროა, სისხლსაც დვრის,
მაგრამ თავისას, განა სხვისს?
გმირი ის არის, ვისშიაც
საქვეყნოდ საქმე ისახვის!
მათი მოსისხლეს ბუდეა,
მუხანათობის ტაძარი...
მთასა და მაღალ ადგილზე
გმირთა სამშობლო არ არის!
იქ ყვავ-ყორანნი, აფთარნი—
სისხლის მსმელები ხშირია,
თვარა მითხარით, ვინ ნახა
მთაში გაზრდილი გმირია?!
გმირი ბარშია შობილი,
ხალხის გულ-მკერდით აღზრდილი,
—მიუდგომი მთა კი არა,
ბარია მისი ადგილი!!

**ფ. რუშაველი**

# გ ო გ ი.

(ნაწყვეტი).

დილა—ადრე იყო. ცა ალისფრად შემოსილი პირქუშათ იყურებოდა. ჰაერში მიმცურავი ღრუბლების ნაკვეთები, დილის ცისკარს სისხლის ფრად შეღებვა და რაღაც საიდუმლოებრივის გამომეტყველებით, სამყაროს დაღონებულის სახით დასცქეროდა. ის ამ დროს თითქო ვილაცას ჰგლოვობდა; ცხოვრების მოწყობილებიდან შექმნილს უსაზღვრო ტანჯვას, და მის მორევში ულმობლათ დასჯილნის „ცურვას“, ის თითქო თანაუგრძნობდა; იმ დასჯილნის განწირული სულის კვეთებიდან აღმომსკვდარ დაუსრულებელ ოხვრა-გოდებას და იმათ უდანაშაულო წამება-წვალებას, ის თითქო მოწამედ უდგებოდა.

... ყველაფერი მდუმარებას მოეცვა: არ ისმოდა ქარის გუგუნი; არ იყო წვიმა მიმოსვლის შემაფერხებელი, არ იყო სიცივე შემაწუხებელი, და არ უგავდა არც მზის ამოსვლას;—ცა კოპებ შეკრული დედა მიწის ზედა პირს რაღაც ჩაშტერებით გასცქეროდა, რაღაცა განრისხებული შეხედულება მიეღო და თითქო სევდით მოცული ისიც, ცხოვრების უკუღმართობას შესტიროდა, მისგან დამწუხრებულ კაცობრიობას სასოწარკვეთილის მეტყველებით ჩასჩურჩულებდა: „ნეტავ როდის მოუღებენ ბოლოს ეს ხალხნი ამ თვით მათგან შექმნილს უსაზღვრო ტანჯვას! ნეტავ როდის მოუღებენ ბოლოს ეს ადამიანები ამ თვით მათგან შექმნილს—მათსა მაწამებელს უსწორ-მასწორობას!“

ამ დღეს, ამ დილა—ადრე ამდგარი გოგი, ერთ ქუჩის პირათ მდგომ სახლს მიჰყრდნობოდა და ღრმა ფიქრებით გატაცებული, სადღაც შორს გაჰყურებდა. ის თუმცა ხნოვანებით, ჯერ კიდევ ნორჩი ახალგაზდა იყო, მაგრამ მწარე ცხოვრების ხვედრს მისთვის ხანში გასული კაცის დანაოჭებული სახე მიეცა, მისი დამჭკნარი სახე დაემბჩნივებია. ის ფერ-მკრთალი, თითქმის სანთელივით ჩამომდნარი ეხლა, მწარე ფიქრებს ებრძოდა... ის, უკვე მთელი წელიწადია რაც უალაგოთ დაყიალობს, უმწეოთ დადის. სიმშილს და გაჭირვებას ებრძვის. ის უკვე მთელი წელიწადია რაც მოლოდინით სულდგმულობს, ბედის ცვლილებას უცდის, ხანას მოელის, „ცხოვრება უნდა“, მის დაჩქარებას ესწრაფვის. გოგი რამოდენიმე წლები იყო სხვის ანაბრათ, სხვისი შემომყურედ, რომლებმაც ამ უკანასკნელათ სრულებით მიივიწყეს და მას შემდეგ სიმშილის ქვეშ ჰკვნესის.

გოგიმ წინა დღით წერილი მიიღო თავის ამხანაგიდან, რომელიც სწერდა: „ის იმედი, რომელიც შენ ჩემგან გქონდა, აღარ არის, სხვადასხვა მიზეზების გამო გაცრუვდა და ეს თუმცა ძალიან სამწუხაროა, მაგრამ სხვა გზა არ არის. ნუ გეწყინება და ისევ სხვას მიმართე, სხვაგან ეძიე რამე“-ს. და ამათგან თავზარდაცემული ის, ეხლა გულის გამგმირავ შავს ფიქრებს შეეპყრო და რაღაც ძალა, შორს სიცოცხლის გამწირველ უფსკრულისაკენ მიიწევდა.

უკუღმართ ცხოვრებას მისთვის ღრმათ ჩაებღაუჭებია თავისი მძლავრი კლანჭები და სახიდებელს აღარ აძლევდა. კრიტიკულ მდგომარეობას ის უმწერვალეს წერტილამდის მიეყვანა და ყოველი-მხრივი სახსნელი გზა მისთვის შეეზღუდა. ცხოვრებას ის მოეძულებია და ისედაც მილიონობით სავსე ჩაგრულთა ბანაკისაკენ გადაესროლა; თავისი ბინა სამუდამოდ იქ დაკმკვიდრებია;—რომ მხოლოდ მისი ხვედრი იქ არისო, რომ მხოლოდ მისი ღირსი ადგილი იქ მოიძებნებაო, და წილიც იქვე მათში უნდა მიიღოსო; მათში უნდა ეძიოს უფსკრულის დასასრულს და მათში, უნდა აღმოკრიბოს ნეტარების წყაროო... და ეს დიახ მართალი იყო მაგრამ...

ჯერ კიდევ რვა საათი არ იქნებოდა, რომ გოგი უკვე ამ ქუჩიდან წასული-ყო და ეხლა ხიდზედ გადამდგარი მტკვრის სიღრმეს გადაჰყურებდა. ის ეხლა იმაზედ ფიქრობდა თუ როგორ შეხვდება სიკვდილს და როგორ მიიღებდა ის მას. თუ როგორი მწარე იქნებოდა სიცოცხლის განწირვა, უკანასკნელად თვალის დახუჭვა და მღვრიე მტკვრისთვის თავის მიცემა. თუ როგორი მწარე იქნებოდა ნაცნობ-მეგობრების მოშორება,—რომლებმაც ეხლა აღარ იციან მის ასავალ-დასავალი და ამ უკანასკნელად იმათ უნახავთ სიკვდილისათვის თავის დადება. თუ როგორ მწარე იქნებოდა საყვარელი დედის საუკუნოდ მოშორება და უკანასკნელად დაუმშვიდობებლად სიცოცხლის შემწყვეტა, უფსკრულში გადაჭრა... „ოჰ შეუბრალებელო ტანჯვავ?—წამოიძახა განწირულის ხმით გოგიმ—რა დავაშავე ვინმესთან, რომ ასეთ დღეებში ჩამაგდე ამ უკანასკნელად!.. მე თქვენ არ დამინდეთ! მე თქვენ მომიძულეთ და ეხლა მე ყველასაგან მოძულებულმა ამ მტკვარს უნდა მივსცე თავი, რომელიც სამუდამოთ შესწყვეტს ჩემს გაუბედურებულს ცხოვრების წუთებს... მაგრამ ამასთან მაწუხებს და თვით სიკვდილშიაც ჩამყვება მხოლოდ ერთი:—რა ვუყო იმათ, რომლებისთვისაც ჩემი უბედურობით თავი მომიბეზრებია?.. ვინ გადაუხადოს ეს მათ!.. ნაცვლად იმისა, რომ შემდეგ მომიგონონ და შემიბრალონ, წყევლა-კრულვით და ლანძღვით მომიხსენიებენ... მარა სულ ერთია... მე ხომ ვერც დავინახავ და ვერც გავიგებ. მაშ ასე. უნდა მოვკვდე!... ამ უკანასკნელი სიტყვების დათავება ძლივს მოასწრო, რომ ვილაცამ მკლავში ხელი გამოსდო და შეაჩერა.

ის გოგის გულითადი მეგობარი იყო, რომელიც ამ დილა-ადრე მის ბინაზე მისულიყო. მას გოგისთვის ერთი მცირე ჯამაგირიანი ალაგი ეშოვნა მარა შინ ვერ ენახა და შემდეგ ისევ გზაში დაეწია. მან აუხსნა გოგის ყველაფერი:—როგორ და სად უნდა წაეყვანა, რა ალაგში აყენებდა. როგორი პირობები იქნებოდა.

ამ უსაზღვრო სიხარულისაგან გოგის ხმა ჩაუწყდა, ენა თითქო მუცელში ჩაუარდა და ასე დიდ ხანს, განცვიფრებით შესცქეროდა თავის ამხანაგს თვალებში და თითქოს უნდოდა ამოეკითხა იმისი სახის მეტყველებიდგან:—მატყუებს თუ მართლა არისო.

... „მაშ, სიცოცხლე კიდევ შესაძლებელია! დიდი ხნის იმედი მიმართლდება!.. ცხოვრებაში რამე ალაგი კიდევ მექნება და სიცოცხლე ჩემთვის კიდევ არ შეწყვეტილა!..

... ოჰ რა დაუფასებელი რამაა დახმარება ასეთ წუთებში!“ უსაზღვრო მადლობის ნიშნათ, გოგიმ სიხარულით დამთვრალმა ხელი მაგრათ ჩამოართვა გადაეხვია და გიჟივით კოცნა დაუწყო. რამდენიმე წუთის შემდეგ გოგი და მისი ამხანაგი უკვე სამსახურის ადგილზე იყვენ და სამუშაო პირობებს ეცნობოდენ...

**სევასტი მთ—რელი.**

ომლის იქვე გვერდში აკალდამა იყო. ყდარი აგებულია ნაცრის ფერ თლილი ქვისაგან და სიძველეს ერთი ორათ აუმშვენიერებია ის. არ გასულა დიდი ანი და მიცვალებულიც მოასვენეს. სამგლოვიარო ეტლზე მრავალი ცოცხალი ყვავილების გვირგვინები ეწყო, მეგობარ-ამხანაგებისაგან მიძღვნილნი. ზედ კუბოზე იდვა ცოცხალ ვარდების გვირგვინი, რომლის თეთრ ლენტზე მსხვილი ასოებით იყო ქართულათ ამოქარგული: „საქართველოს მოამაგეს“. და საფლავება სრულიად სადა და შინაურული იყო. გარდა მოხუც დედისა და ორი ძმისა, იყვენ რამდენიმე სულ მახლობელი პირნი. კუბო ჩაასვენეს უსიტყვოთ და უცრემლოთ. ინგლისელი არაა ჩვეული მისი მწუხარების ცრემლით გამოხატვას, სამაგიეროთ რამდენათ მწვავე და ღრმა უნდა იყოს ის.

განსვენებული ჯერ კიდევ არ იყო ორმოცი წლისა; იგი იყო სპეტაკი და მოსიყვარულე გულის ადამიანი; იგი იყო უწყინარ-უჩინარი და უპრეტენზიო, რაიც მომხიბლველი იყო მისი მაღალ განათლება-ნიჭის მიხედვით. საქართველო მისი მეორე სამშობლო იყო, მე ვიტყოდი—**პირველი**, რადგან მას არა ერთხელ უნატრია სიცოცხლეში გურიაში, სახელდობრ—ახოვან შემოქმედში დასაფლავება. თვით სიკვდილის კარზე, წყეულ დამბლისაგან ენა წართმეული, ის მთრთოლარე ხელით სწერდა ჰაერში სიტყვას—„საქართველო“, და როცა ეს ამოიკითხა მისმა საყვარელმა ძმამ, მისი სახე მთლად ბრწყინვალებად დი ბედნიერებად იქცა. უარდროპი ღრმა მცოდნე იყო ქართული ენისა. მის ხელს ეკუთვნის „სიბრძნე-სიცრუის“, „განდეგილის“ და ბევრ სხვათა ინგლისური თარგმანი.

უკანასკნელათ ის შეუდგა „ვეფხვის ტყაოსნის“ ინგლისურათ თარგმნას. ჯერ მან გადათარგმნა ეს დიდებული ქმნილება ქართულ კულტურისა პროზათ და შემდეგ შეუდგა მის გალექსვას, მაგრამ დაუნდობელმა სიკვდილმა აღარ დააცალა.

უარდროპი დიახაც არ სჯერდებოდა ჩვენი წარსულის შესწავლას, იგი დიდათ დაინტერესებული იყო ჩვენი აწმყოთი და ალტაცებით მისჩერებოდა ქართველი ერის მკვირცხლ წამოჭრას განმათავისუფლებელი მოძრაობის ჟამს. მან ჩვენთან ერთათ ძირამდე გამოსცალა დამარცხების მწარე ფიალა და თავის მცირე წვლილიც გამოიღო გურულების სასარგებლოთ...

ასე ნაკლებ გვიცნობენ ჩვენ გადაღმა, ასე ცოტა გვყავს იქ მეგობარნი... და ერთი საუკეთესო მათგანი ქ-ბ-ი უარდროპი იყო... ა. ჩ.

## ახალი ამბები

**ქალაქის საბჭო.** ორშაბათს, 28 დეკემბერს შესდგა ქალაქის საბჭოს კრება, რომელმაც ხმოსან ნ. ელიავას საბჭოდან გამორიცხვის შესახებ გუბერნატორისა და საგუბერნიო საკრებულოს დადგენილება სენატში განასაჩივრა. სხვათა შორის, დაადგინა დარჩეს 1910 ხარჯთ აღრიცხვაში 5,000 მან. ქალაქის საკანტროლო საჭიროებისათვის. დაენიშნოს ყოველ წლიური დახმარება კავკასიის თავშესაფარ კოლონიების საზოგადოებას 1000 მ. უკანასკნელათ განიხილეს 1910 წ. ხარჯთ-აღრიცხვა. გამოკვლეულია, რომ მომავალ წელს ქალაქს 260,000 მ. დეფიციტი ექნება, რომელიც დაიფარება ადმინისტრაციაზე და სხვადასხვა პირებზე დარჩენილი გადასახადებით.

✦ **დაჯარიმება.** თფილისის გუბერნატორის განკარგულებით დაჯარიმებულია სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის თავმჯდომარე ვ. რცხილაძე გამგეობის კრებების უკანონოთ მოწვევისათვის.

✦ **საჩივარი.** ქალაქის გამგეობამ წინადადება მისცა ქალაქის იურისკონსულტს საჩივარი აღძრას საოლქო საინჟენერო სამმართველოს წინაამდეგ, რომელსაც მურავიოვის ქუჩაზე ქალაქის მიწები მიუსაკუთრებია.

✦ **დახვრეტა.** 29 დეკემბერს კავკასიის სამხედრო სასამართლოს დადგენილების თანახმათ დახვრიტეს კავკასიის რკ. გზის 1 ბათალიონის ჯარის კაცი, ტოპჩიევი, რომელსაც აფიცრის დილოის მოკვლა ბრალდებოდა.

✦ **ქალაქის გამგეობამ** განიხილა თხოვნა კავკასიის ბრმათა მზრუნველ საზოგადოებისა მასზე დარჩენილ გადასახადის 400 მ. შემწეობის შესახებ და დაადგინა გადახდეს ხსენებულ საზოგადოებას მხოლოდ 200 მ.

✦ **კავკ. სომხურ საქველმოქმედო საზოგადოების კრება** დანიშნულია დღეს და კანონიერათ ჩაითვლება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. კრება მეორეთაა დანიშნული.

✦ **სავაჭრო მოწმობები.** ამ ჟამათ ქალაქის გამგეობაში მოვაჭრეებისაგან აუარებელი თხოვნები შედის მოწმობების ასაღებათ. ეს მოვლენა გამოწვეულია ადმინისტრაციის განკარგულებით, რომლის ძალითაც ყველა მოვაჭრეებს აუცილებლათ 1 იანვარს სავაჭრო მოწმობები უნდა ქონდეთ აღებული.

✦ **საზღვარ-გარეთელი დიპლომები და რუსეთის უნივერსიტეტები.** სახალხო განათლების მინისტრმა კანონ-პროექტი წარუდგინა მინისტრთა საბჭოს განსახილველათ. კანონ-პროექტი ეხება იმ პირთ, რომელთაც სწავლა საზღვარ-გარეთ დაუმთავრებიათ და რუსეთის უნივერსიტეტში ეგზამენების ჩაბარებას აპირებენ დიპლომის მისაღებათ. კანონ-პროექტის გეგმით ასეთ პირთაგან სიმწიფის მოწმობებს მოითხოვენ.

✦ **„გურიის რესპუბლიკა“.** მომავალ წლის იანვრის შუა რიცხვებში ქუთაისში გაირჩევა საქმე, ეგრეთ წოდებულ „გურიის რესპუბლიკისა“—ეს საქმე ორხელ ადესაში გაირჩა. ამ ჟამათ გაასამართლებენ ძმებს დ. და ვ. ქარცივაძეებს და გიორგი შილაკაძეს.

✦ **სესხის ნებართვა.** ბაქოს ქალაქის თავი რაევსკი პეტერბურგიდან უკვე დაბრუნდა. ბაქოსათვის რამდენიმე მილიონი მანეთის სესხის აღების ნება დაურთავთ.

✦ **ავათმყოფობა ყვავილი.** ამ ბოლო დროს თფილისში „ყვავილი“ ძლიერ ვრცელდება. არის მაგალითი, ბავშვების ავათმყოფობისა. ქალაქის გამგეობამ განკარგულება მოახდინა, რათა ქალაქის სხვადასხვა ადგილებში უფასო აცრა ხდებოდეს—დილის 9 ს. 12 საათამდე.

✦ **მიმოსვლის შეწყვეტა.** კავკასიის სამხედრო გზაზე დიდი თოვლის გამო მიმოსვლა შეჩერებულია. შეჩერებულია აგრეთვე მიმოსვლა თემინ-ხაშურისა და პეტროვსკის შუა.

✦ **თავდასხმა ბაქოში.** 26 დეკემბერს ბაქოს მიდამო ბალახანაში, ხუთი შეიარაღებული უცნობი თავს დაესხა ვაჭარ ფრანჩეკოს, წაართვეს 430 მ., გაიტაცეს 137 მ. ღირებული ნივთები და მიიმალენ. 2 მათგანი პოლიციამ იმ დღესვე შეიპყრო, ხოლო დანარჩენი 3 მეორე დღეს. ხუთივე სომხებია, რომელნიც პირადათ იცნო გაძარცულ ფრანჩეკომ.

✦ **გაზ. „ჟიზნ კავკაზა“-ს** 1 ნომერი 8 იანვარს, გამოვა პეტერბურგში.

✦ **გაზეთების დაჯარიმება.** თფილისის გენ.-გუბერნატორის განკარგულებით დაჯარიმებულია გაზ. „ზაკავკაზიე“ და „საქართველოს მოამბე“ თითო 500 მ; დაჯარიმებულია აგრეთვე გაზეთი „ნოვაია რეჩი“ სტატიის დაბეჭდვისათვის, რომელიც გადმობეჭდილი ქონდა გაზ. „რეჩიდან“ შემდეგის სათაურით, „სინოდის ახალი სესია და საქართველოს საეგზარხოსო“.

✦ **მიდამო „ვაკე“.** თფილისის მიდამო „ვაკეს“ მცხოვრებლებმა 15,000 მ., გადასდვეს ხსენებულ ადგილებზე ქუჩების მოსაკირწყლავათ. ქალაქი ამ საქმისათვის 10,000 მ. დახმარებას იძლევა.

✦ **ლექცია ჰაერში ფრენის შესახებ.** 2 იანვარს სახალხო სახლში ბ. ზლობინსკი ლექციას წაიკითხავს ჰაერში ფრენაზე. ლექტორს ჰაერში ფრენის საქმე შესწავლილი აქვს საფრანგეთში და გერმანიაში.

✦ **სოხუმიდან გვატყობინებენ,** რომ იქ დაუარსებიათ ქ. შ. წ. კით. გამავრცელებელ საზოგადოების განყოფილება და გამგეობაც აურჩევიათ.

✦ **სიმინდის ფასი.** ოზურგეთიდან გვატყობინებენ, რომ იქ სიმინდის ფასმა შესამჩნევათ იმატა. ნატანებში ფუთი სიმინდი 60—65 კ. იყიდება, სუფსაში—60 კ. გურიიდან სიმინდი გააქვთ საზღვარ-გარეთ, უმეტესათ ოსმალეთში.

✦ **იბეჭდება და მალე გამოვა** ქართულათ თარგმნილი ჰაუპტმანის ცნობილი დრამა „ფეიქრები“.

✦ **პოლიციელების სამართალში მიცემა.** თფილისის გუბერნიის საქმეთა საკრებულოს დადგენილებით წინასწარი გამოძიებაა დანიშნული უბნის ზედამხედველების—თეთრაძისა და ბორისოვის შესახებ, რომელთაც ბრალდებათ მ. იუშანკოვსკის პირადი შეურაცყოფა სასტუმრო „მეტროპოლში“.

✦ **სამსახურიდან დათხოვა.** პოლიცმეისტრის განკარგულებით სამსახურიდან დათხოვნილია მე-11 უბნის პოლიციელი პოდლეშჩიკი, რომელსაც სამსახურში დაუდევრობა ბრალდებოდა.

---

**ფოთი.** სტუსადოების სამმართველოს განზრახვა აქვს ფოთში ააგოს სტუსადოსთვის ახალი შენობა. შენობა 100 კაცისათვის იქნება.

— ქუთაისის გუბერნატორის წინადადებით ფოთის პოლიცმეისტერი სადაუაია კრებს შემოწირულებას კერძო პირებში თფილისის მომავალ პოლიტეხნიკუმისათვის.

— 18 დეკემბერს პეტერბურგიდან დაბრუნდა ფოთში ქალაქის ნ. ნიკოლაძე, რომელიც დღესასწაულების შემდეგ, ისევ წავა პეტერბურგში ქალაქის საქმეების გამო.

— სუფსის გზაზე გაძარცეს მღვდელი, როგორც ხმები დადის, ფოფილა გაბრიელ გოგიბაშვილი, დანჩხუთელი.

— როგორც გვწერდით, კვირას, 20 დეკემბერს ადგილობრივ სავაჟო გიმნაზიის დარბაზში მღ. მელიტონ კელენჯერიძე აპირებდა ლექციის წაკითხვას, იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელის ცხოვრება-მოღვაწეობაზე, მაგრამ ლექციაზე თითქმის არავინ გამოცხადდა, რის გამო ლექცია გადაიდო.

— 20 დეკემბერს კვლავ ქწვაა ფოთს გრ. რობაქიძე; საზოგადო საკრებულოს დარბაზში მან წაიკითხა ლექცია: „სულიერი დრამა ნიკოლოზ ბარათაშვილისა“, ლექციას ხალხი ცოტა დაესწრო.

## წერილი ხარკოვიდან

საერთო აზრია ჩვენი დროის კომპოზიტორთა უმეტესობისა, რომ ევროპის მუსიკა თითქოს გაიყინა, იგი ვერ აკმაყოფილებს ადამიანის სულიერ მოთხოვნას, ვერ ხატავს მის იდუმალ სულის-კვეთებათა და განცდათ. შაბლონიური მუსიკალური ფორმები ბურჯ. მეტათ მოსაბეზრებელი შეიქნა. იგი ეძებს ახალ ფორმებს, ახალ სიტყვას მუსიკაში. იგი ეძებს სულიერ განცდათა ნავთსაყუდელს, რომ დროებით მაინც იგრძნოს ნეტარება და მუსიკაში გამეფებულ რეაქციისგან შეისვენოს. ამ მხრით ცნობილია, რომ აღმოსავლეთი, როგორც ხელოვნების სხვა დარგში, ისე მუსიკაშიაც შეუდარებელი და დაუშრეტელი წყაროა. და აი, ევროპის მემუსიკეთა ყურადღება შორეულისა და მახლობელ აღმოსავლეთზეა მიჯაჭვული. ისინი იქ ჰპოვებენ ათასს დაუფასებელ განძს და შემდეგ თავისებურათ ამუშავებენ. გარდა შორეულ აღმოსავლეთისა (ჩინეთისა, არაბეთისა, სპარსეთისა) უმთავრესათ ყურადღება კავკასიის ხალხებზე და განსაკუთრებით საქართველოსკენაა მიპყრობილი. აქ ეძებდენ და ეძებენ მემუსიკენი ხალხურ მოტივებს და შემდეგ თავისებურათ ამუშავებენ და სარგებლობენ თავიანთ კომპოზიციისათვის. ქართული სახალხო მოტივებით უხვათ უსარგებლიათ რუსეთის საუკეთესო კომპოზიტორებს—გლინკიდან დაწყებული უკანასკნელ დრომდე: სეროვს, რუბინშტეინს, ჩაიკოვსკის, დარგომიჟსკის, განსაკუთრებით კი ბოროდინს, ბალაკირევს და იპპოლიტოვ-ივანოვს (თფ. მუსიკალურ სასწავლებლის ყოფილ დირექტორს). ამ უკანასკნელთ რაც საუკეთესო დასწერეს, სულ ქართველ თემაზე და ქართული მოტივებით ისარგებლეს (ვისაც ეს საკითხი აინტერესებს მივუთითებთ დ. არაყიშვილის წერილზე, რაიც მოთავსებულია „მუსიკა და ცხოვრებაში“ № 5. 1908 წ.). რასაკვირველია, ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ უცხო კომპოზიტორი და მემუსიკე ისე ვერ ისარგებლებს ჩვენი ხალხის იმ საუცხოვო სიმღერებით და მოტივებით, როგორც ამას მოახერხებს კომპოზიტორი და მემუსიკე, რომელიც იცნობს ქართველ მდაბიო ხალხს და მის სულიერ განცდას, რომელსაც ამ ხალხში უცხოვრია და მისი სულიერი მდგომარეობათა გამომხატველი ენა ბეჯითათ შეუსწავლია. ასეთ პირს შეუძლიან ბევრი რამ შეიძინოს და ისწავლოს ხალხისაგან, მისი საუკეთესო მოტივებით ისარგებლოს, განავითაროს, თავისებურათ გამოიყენოს. როგორც სიტყვიერ ხელოვნების დარგში, ისე მუსიკალურშიაც დაუსრულებელი, უსაზღვრო და დაუშრეტელია მდაბიო ხალხის წყარო. მეტათ გულწრფელია მისი სიმღერა, აღმაფრენი, გმირული, დროგამოშვებით სევდა-ნაღველში ამოვლებული მისი მადლიანი გულიდან ამონაკვნესი უცხო ხმები. ერთ ყალბ სიტყვას ვერ უპოვით მას, ერთ უაზრო ნოტსაც ვერ მონახავთ მშრომელი ხალხის სიმღერებში. ხალხური სიმღერა ეს ისეთი დარგია, სადაც ყალბ ნოტებს ადგილი არა აქვს; დამაშვრალი და ტვირთ მძიმე, ათასათ წელში მოხრილი, ქვეყნის მრჩენელნი, მთელი ქვეყნის და კერძოთ თავის ნაციის კულტურულ სალაროს უტყუარი ბურჯი, ნაციონალურ ხელოვნების განძის უებარი მასაზრდოებელი, მუშა—ვერ იმღერებს მას, რაც გულში არ უდევს, რაც არ აფიქრებს, რაც არ აშფოთებს მის კეთილშობილურ ბუნებას. მეტათ უსაზღვრო და დამაფიქრებელია მისი საზრუნავი, ქვეყნის განთავისუფლებისა, თავისუფლების გაჭედისა და განსპეტაკების საქმე, რომ მან ყალბი სიტყვა და მოტივი სთქვას. სიმღერა ისეთი დარგია, რომელიც უტყუარათ გადმოგცემთ თქვენ ყველა იმას, რაც გულწრფელით, უსაზღვროთ გულწრფელათ უგრძვნია და განუცდია ხალხს. ასევეა ხალხურ სიტყვიერ ხელოვნებაშიაც. აი რატომაა, რომ ყველა ქვეყნის საუკეთესო ხელოვანნი ხალხში გადიოდენ, მისგან სწავლობდენ ენას ფაქიზს, შეურევლს, ღრმა აზროვან თქმულებათ, ლეგენდებს. შექსპირის „ჰამლეტი“ და გიოტეს „ფაუსტი“—ხალხურ ლეგენდებზეა აშენებული. ასევეა პუშკინის ნაწარმოებნი. პუშკინი მოსკოვის დაბალ ხალხში ურჩევდა მწერალთ ენის შესწავლას. რასაკვირველია, ხელოვანს შეუძლია თავისებურათ გამოიყენოს ხალხური თქმულება და მოტივი და რამდენათ იგი ამ შემთხვევაში არ უღალატებს ხალხის ენას, გულწრფელობას და ღრმა აზრს, რომლითაც ესა თუ ის თქმულება ან ესა თუ ის სახალხო მოტივია აღბეჭდილი, იმდენათ ფასდება მისი ღირსება და იმდენათ უკვდავია და ძვირფასი მისი სახელი ხალხისათვის. კომპოზიტორები ცდილობენ ამ შემთხვევაში სხვებს არ ჩამორჩნენ და რამდენათ მათ უსარგებლნიათ სახალხო მოტივებით და სიმღერებით, იმდენათ დიდებულია მათი ნაწარმოებნი, იმდენათ ღრმა და ძლიერია ამ ნაწარმოებათა გავლენა მსმენელებზე.

კაპიტალიზმის თანდათან ზრდას საქართველოში და ბიროკრატიულ რუსიფიკატიულ პოლიტიკას ის ცხადი შედეგი მოყვა, რომ ქალაქის იმ წრეებში, სადაც ვაჭრები თუ მუშები ერთმანეთში არეულნი არიან და წლობით ერთად უხდებათ მუშაობა, საშინელ ატმოსფერაში,—ენა შერეულია და პირველ დროის სიფაქიზეს კარგავს, მუშავდება რალაცნაირი ჟარგონი, განსაკუთრებით თუ მუშა ჩვეულებრივის ენერგიით არ დასდევს, არ ეწაფება ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებს და ამნაირათ თუ ფაქიზათ, შეურევლათ არ ინახავს თავის ენას. აქედან ცხადია, რასაკვირველია, რომ ქართული ხალხური სიტყვა, ხალხური მოტივი ქართველ ხალხში უნდა ეძიოთ, უმეტეს შემთხვევაში სოფლათ, თუმცა ზემოთ აღნიშნულ მიზეზს სოფელზედაც აქვს თავის გავლენა, მარა ჯერ იმდენათ კიდევ არა. ისწავლეთ და ჩაიწერთ საუკეთესო ლექსები და სიმღერები თუ გინდათ ხალხი და იმისი სულის კვეთება გაიცნოთ. ამ მიზნისთვის თანდათანი და შეუწყვეტელი შრომაა საჭირო. ხალხის სულიერი განცდა მრავალ საფეხურებს განიცდის, რომელთათვის ცალ-ცალკე ხალხის შემოქმედებით ნიჭს საკუთარი ენა და გამოხატულება მიუცია. ეს სულიერი განცდა ჩაისახება, იზრდება, თანდათან ღრმავდება და მთელი ეს პროცესი სიგრძე-სიგანით ხალხის სიმღერებშია გადატანილი. რადგან ეს პროცესსი ხანდისხან მრავალ წელსა და საუკუნეებს გრძელდება, ამიტომ ცხადია, გავლილ განცდათა და მისწრაფებათა სიმღერები იკარგება, ისინი დროთა უფსკრულში ინთქმებიან, მათ ახალი სიტყვები, ახალი სიმღერები სცვლიან. აი, ამიტომაა განსაკუთრებით საჭირო თანდათანი, შეუწყვეტელი მუშაობა სახალხო პოეზიის დარგში, რომ არ დაიკარგოს ხალხის მისწრაფებათა და ფიქრთა თანდათანი ზრდისა და შესაფერათ ახსნის ძაფი. ამ დარგში, როგორც ვიცით, მთელი თავისი ძალ-ღონით მუშაობს ი. კარგარეთელი. ასევე კ. ფოცხვერაშვილი, ჩხიკვაძე და სხ. **შხ—დი.**

(დასასრული იქნება).

## სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის მოხსენება

როგორც მკითხველებმა იციან, ქართულ დრამატიულ საზოგადოების—გამგეობამ თავის ლირს-სახსოვარ სხდომაზე დაადგინა ჩამოართვას სახალხო სახლი სახალხო უნივერსიტეტის ქართულ თეატრალურ სექციას და გადასცეს ბ. შათირიშვილს (ფაქტიურათ კი „წრეს“).

ამგვარათ, ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ სახალხო უნივერსიტეტთან არსებულ თეატრალურ სექციას საშუალება მოუსპო მართოს სახალხო წარმოდგენები. ამის გამო სახალხო უნივერსიტეტის გამგეობამ თფილისის ქალაქის გამგეობას ვრცელი მოხსენება წარუდგინა, სადაც აღნიშნავს, თუ რა სარგებლობა მოქონდა ქართულ თეატრალურ სექციას სახალხო სახლში წარმოდგენების მართვით და რა დიდი ზიანი მოუტანა თეატრს დრამატიული საზოგადოების გამგეობამ თავის დადგენილებით სახალხო სახლის შესახებ. მოგვყავს ზოგიერთი ადგილები ამ ისტორიული დოკუმენტიდან:

„სახალხო უნივერსიტეტის გამგეობას, რომლის ნაწილსაც შეადგენს ქართული თეატრალური სექცია, ჰყავდა სცენის მოყვარეები, ჰქონდა ცოტაოდენი თანხა, მოპოებული ქონდა სიმპატია ფართო მასსაში,—რის დამამტკიცებელი საბუთები გამგეობას საკმაოთ აქვს—დღეს მას საშუალება მოესპო მართოს სახალხო წარმოდგენები ზუბალაშვილის სახალხო სახლში.

არა თუ მარტო ზუბალაშვილის სახლის კარები გამოგვიკეტეს, რომ ქართული წარმოდგენები აღარ გაგვემართა, არამედ კიდეც დაგვასწრეს და სანამ ჩვენ ავჭალის აუდიტორიას მივმართავდით, მათ უკვე დაიჭირეს ის.

ამგვარათ, თეატრალურ სექციის საქმეს ორგვარი მეხი დაატყდა თავზე და ის თავის სცენის მოყვარეებით, გარდერობით და ბიბლიოთეკით ქუჩაში გაგდებული დარჩა.

ასეთ გამოუსვლელ მდგომარეობის დროს ჩვენ მივმართავთ ისეთ დაწესებულებას, საიდანაც უპირველეს ყოვლისა ჩვენ ველით დახმარებას. ჩვენი მოღვაწეობა ყველამ კარგათ იცის, ის არავისთვის დაფარული არ არის და ყოველგვარ სასტიკ კრიტიკისთვის ხელმისაწდომია.

სახ. უნივერსიტეტის ქართულმა თეატრალურმა სექციამ დღიდან თავის დაარსებისა 1907 წელს, კარგი პიესების ამორჩევით და შესაფერათ ასრულებით, საქმის კარგათ მოწყობით მიაჩვია ხალხის მასსა წარმოდგენებს, შეაყვარა თეატრი, მოთხოვნილებათ გაუხადა იქ სიარული და ამით შეასრულა თავისი კულტურული მისია. კარგმა შემოსავალმა ხალხის ყურადღება და პატივისცემა არტისტებისადმი და ბოლოს ის ინტერესი, რომელმაც მტკიცე ნიადაგი მოიპოვა ხალხის დემოკრატიულ ნაწილში თეატრალურ სექციის ბედ-იღბლის შესახებ, ყველა ზემონათქვამის საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთია.

დღემდე სახალხო სახლში ჩვენ დათმობილი გვქონდა თვეში სამი დღე, ეს დღეები ჩვენ მოგვცა ქართულმა დრამატიულ საზ. გამგეობამ, მაგრამ ამ წლის შემოდგომაზე ჩვენი თეატრალურ სექციიდან გამოეყო ჯგუფი, რომელიც სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის უკმაყოფილო იყო და ენერგიულათ შეუდგა საქმეს, სექციის დამოუკიდებლობის შესახებ. ამ ჯგუფმა შეადგინა ცალკე თეატრალური წრე და მიმართა ქართულ დრამატიულ საზოგადოებას დაეთმო მისთვის ის დღეები, რომლითაც ამ დრომდე სახ. უნივერსიტეტის სექცია სარგებლობდა. ქართულ დრამატიულ საზოგადოებას არც კი გაუგია რაში იყო საქმე, დააკმაყოფილა მათი თხოვნა, წაგვართვა ეს დღეები და საშუალება და დროც კი არ მოგვცა, რომ სხვა ბინა გვეშოვნა სახალხო წარმოდგენების გასამართათ. ამ გვარათ, ამ კითხვის გადაწყვეტის შემდეგ დიდი ხანი არ დააყოვნა და მეორე საკითხიც გადაწყვიტა: გადასცა ეს დღეები ახალ წრეს, რომლის მოღვაწეობის დავთარში ჯერ არაფერი სწერია, გარდა იმისა, რომ მისმა წარმოშობამ მისთვის არა სასიამოვნო და ცხარე პოლემიკა გამოიწვია.

ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობამ ყურადღება არ მიაქცია ჩვენ საბუთებს, არა თუ უდიერათ

წაგვართვა ეს დღეები, არამედ—უყურადღებოთაც კი დასტოვა ჩვენი შუამდგომლობა, მოეთმინა ორი თვე სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოების საზოგადო კრებამდე, რომელსაც მარტო მას ქონდა შეემუშავებია „მოდუს ვივენდი“ ახალ წრესთან.

გადასცა რა შეღავათიან პირობებში დღეები ადგილობრივ მკვიდრთა დრამატიულ საზოგადოებას, ქალაქის გამგეობამ უფლება დაიტოვა საჭიროების დროს თვით ესარგებლა ამ დღეებით. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იქნებოდა შემომწირველების სურვილის ფარ-ყოფა, რომლებმაც შესწირეს რა ქალაქს სახალხო სახლი, დაავალეს ქალაქის დაწესებულებებს განსაზღვრული საქმე—გაემართათ სახალხო წარმოდგენები და ხალხისთვის გონიერი გასართობები.

რა მიზანი ქონდა ქალაქის გამგეობას, როცა ადგილობრივ მკვიდრთა დრამატიულ საზოგადოებებს დღეები დაუთმო სახალხო სახლში? ამის შესახებ მოხსენება ამბობს:

„ადგილობრივ მკვიდრთა დრამატიულმა საზოგადოებებმა იმიტომ მიიღეს დღეები სახალხო სახლში, რომ ქალაქის გამგეობას იმედი ქონდა ეს საზოგადოებები გამოიყენებდენ თავიანთ გამოცდილებას, ქონდათ საშუალება, ყავდათ არტისტიული ძალები სახალხო თეატრის საქმეს ღირსეულ სიმაღლეზე დააყენებდენ.

მაგრამ ამ საზოგადოებებს არ ძალუძს ხელმძღვანელობა გაუწიოს სხვა ენებზე სახალხო წარმოდგენების დადგმის, ზუბალაშვილის სახლში.

და ის იძულებულია სახალხო წარმოდგენების მართვა სხვადასხვა სცენის მოყვარეთა წრეს გადასცეს და მათ მოქმედებაში არ ჩაერიოს.

მიიღო რა დღეები სახალხო სახლში ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ, სახალხო სცენაზე ერთი წარმოდგენაც კი არ გამართა ისე გადასცა ჩვენ თეატრალურ სექციას. შემდეგ წაგვართვა ჩვენ ეს დღეები და მაშინვე გადასცა დროებით სცენის მოყვარეთა ჯგუფს ბ. შათირიშვილის მეთაურობით. შემდეგ ამისა დრამატიულმა საზოგადოებამ კატეგორიულათ განუცხადა, რომ სანამ ახალი წრე დემოკრატიულათ არ შესცვლის ახალი წრის წესდებას, ის არ მისცემს მას ნებას ისარგებლოს დღეებით ზუბალაშვილის სახალხო სახლში. ახალმა წრემ კი პირველ დღიდანვე ხელში ჩაიგდო ეს დღეები და თავის სახელით და თავის ძალით მართავს წარმოდგენებს. ქართული დრამატიული საზოგადოება სდუმს და ამ მდუმარებით თითქო ის ადასტურებს ამ ფაქტს. თავის უძლურებით, რომ აღადგინოს თავის გადაწყვეტილების დარღვეული ავტორიტეტი, დრამ. საზოგადოება ამტკიცებს, რომ ის გულ-გრილათ ეკიდება სახალხო თეატრის საქმეს.

ამ მოსაზრებებით სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოება მიმართავს თფილისის ქალაქის გამგეობას გადასინჯოს ხელ-ახლა თავისი გადაწყვეტილება ზუბალაშვილის სახალხო სახლში დღეების განაწილების შესახებ და უკანასკნელ შემთხვევაში მიანიჭოს მას თვეში ის სამი დღე, რომლითაც ის დღემდე სარგებლობდა: ამასთანავე, სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობა სთხოვს ქალაქის გამგეობას ამ საკითხის გადაწყვეტის დროს ნება მისცეს სახალხო უნივერსიტეტის წარმომადგენელს დაესწრენ კრებაზე, რომ საჭირო განმარტება წარადგინონ შუამდგომლობის შესახებ.

ამრიგათ, ჯერი მიდგა თფილისის ქალაქის გამგეობაზე. ვნახოთ, ისიც დრამატიული საზ. გამგეობას გაჰყვება თუ—მიანიჭებს საჭირო დღეებს სახ. უნივერსიტეტს, რომელსაც ერთ-ერთს აქვს მეტი ზნეობრივი უფლება ამ დღეებზე.

## წერილი ხარბინიდან

(დასასრული.)

ჩინეთის ლუმპე-პროლეტარიატი წარმოდგება გაბოგანოვებულ გლეხ-კაცობისაგან, რომელიც იმას გარდა, რომ მოკლებულია კერძო საკუთრებას მიწაზე, სამშობლო მრეწველობის განუვითარებლობის და მეტის-მეტ სიმრავლის გამო, ვერ შოულობს ვერავითარ სამუშაოს და იძულებულია მათხოვრობა-ქურდობით იცხოვროს. მათი რიცხვი ისე დიდია, რომ ბუზივით ირევა იმპერიის ყოველ კუთხეში, მარტო ხარბინში რამოდენიმე ათასი ცხოვრობს. ნახევრათ ტიტველი, გაძეძილი თმით (ნაწნავი ხომ ყველა ჩინელს აქვს“ მდიდარია ის თუ ღარიბ-ღატაკი), მარტო ძვალი და ტყავი მიწიდგან ამოღებულ მკვდარსა გავს, ვიდრე ცოცხალ ადამიანს. ის ისე დაცემულია ყოველნაირათ, რომ სამუშაო კარგიც რომ მისცე არ უნდა, ჯერ ძალა აღარ შესწევს სამუშაოთ და მერმეთ კიდევ გულს ვერ დაუდებს. მათხოვრობა და ქურდობა აი, მისი უმთავრესი საარსებო წყარო. ნახეთ მაგალითათ ქუჩაში მოხეტიალე, ვერაფერი უშოვია და შიმშილით კუჭი ეწვის, თქვენ შეგებრალათ, დაუძახეთ სახლში და საჭმელი მიეცით, როგორც თვალს აარიდებთ, თუ რამეს მოკრა ხელი, იმ წამსვე მოიპარავს. მიდიხართ ქუჩაში და ხედავთ ერთი აქ დაუჭერიათ, მეორე იქ—ქურდობისთვის და მიათრევენ თმით, მისი ბღავილი გულს შეგიზარებსთ. ეკითხებიან რისთვის მოიპარე თუ ასე გეშინოდაო და ის ბღავილითვე უპასუხებს „იგა თიან ვოდი ჩეფანა მეიულაო“ (მთელი დღე არაფერი მიჭამიაო). გაუშვებენ თუ არა, ის ცოტა ხნის შემდეგ ისევ იქ უყურყუტებს, იქნებ რაიმეს წავავლო ხელიო; ან კარზე კლიტეს გამოაძრობს, ან ფანჯარას გამოაღებს და გადუწევს რამეს ხელს. მათ მთელ ჯარს ხედავ მუდამ სანაგავოებზე და „ხარჩევნიების“ წინ, სადაც გადმონახვეტში ეძებენ ფინჩხებს და ლოკვენ ძვლებს ძაღლებთან ერთად. საშინელებაა, როცა ხედავთ, რომ ზოგ ალაგას ძაღლები არ უშვებენ მათ სანაგაოზე და ისინი მოუთმენლათ უყურებენ მოშორებით: თუ როდის წავლენ ძაღლები, რომ მერმეთ მათ მივიდენ და ამოჩხრიკონ რაიმე. ხედავთ ყველა ამას და თვალს არ უჯერხართ, რომ ესენი ადამიანებია, მაგარი სასმელები მას არ უყვარს, მათში სიმთვრალე არ არის, მაგრამ, სამაგიეროთ, ის ოპიუმს ეწევა, თუ იშოვა სადმე ერთი შაური. ძალიანაც რომ შიოდეს, მაინც „ოპიეკურილნიაში“ მირბის, თუმცა ესენი აკრძალულია, მაგრამ მხოლოდ ქაღალდზე და თვითონ ამკრძალველებიც, თუმცა „საიდუმლოთ“ არ უარს-ყოფენ ამ განცხრომას, რომელიც ფიზიკურათ და სულიერათ შლის მათ ორგანიზმს. ზაფხულში, როგორცაა კიდევ გააქვთ თავი, მაგრამ ზამთარი ნამდვილი მუსრის გამვლებია მათთვის. ისეთ ყინვაში, როცა კარში გამოხედვაც კი გასაჭირია, ათი საჟენი რომ გაიარო ქუჩაში წვერ-ულვაშს ყინვა გაათეთრებს, აი ასეთ ყინვაში იმათ ისევ ნახევრათ ტიტვლებს უხდებათ ყოფნა, რასაც ვერ იტანენ, რაღა თქმა უნდა, დაიხოცებიან. ყოველ-დღე ათობით აგროვებს მკვიდრებს პოლიცია და მიათრევს დროებით დასამარხათ. თუ იშოვა სადმე სამი კაპ. ხომ გაათევიბენ ღამეს, თვარა და უნდა დარჩეს გარეთ და ასე სიკვდილი აუცილებელია. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ნისიათ გაათია ერთი ღამე თუ მეორე ღამესაც ვერ მიუტანა ფული ღამის გასათევ სახლის პატრონ ჩინელს, მას შუა ღამეზე ხდიან იმ დაკონკილ ტანისამოსს და მეორეს მიყიდიან რამდენიმე კაპეიკათ, მხოლოდ მას კი შიშველს აგდებენ გარეთ და დილას გატიტვლებულ კვდარს ნახულობს პოლიცია.

ღამეა, ზიხართ სახლში და გესმისთ მათი მწარე ქვითინი, ეს მას ღამის გასათევი ფული ვერ უშოვია, ისე სახლში არ შეუშვეს და ისიც დასტირის სიცოცხლის უკანასკნელ საათს. ჩინეთის მთაობას, მდიდარ ვაჭარ-მემამულეებს, რომლებიც ხალხის ნაოფლარს ათასობით ფლანგავენ შანტანებში, „პევიცებთან“ ერთხელაც არ მოუვათ თავში ერთი თავშესაფარი გაუკეთონ ამ საწყლებს.

ტ. აბრამიძე.

## პროვინცია

**ფოთი.** აქ დაარსებულ იქნა «განმანათლებელი საზოგადოება» და «დრამატიული». არც ერთს და არც მეორეს სამწუხაროთ მთელი წლის განმავლობაში თითქმის არაფერი არ გაუკეთებია თუ კამათს და კრებას არ მივიღებთ მხედველობაში. ხანგრძლივი უმოქმედობის შემდეგ «განმანათლებელი საზოგადოება“ გაფართოებულ იქნა, ჩაეწერენ წევრებათ მეტი მუშები და ეს იყო უმთავრესი სტიმული ამოძრავების. მეორე თვეს, რაც გამგეობის ხელმძღვანელობით მოწყობილ იქნა საღამოს კურსები სამის განყოფილებით, სადაც დადიან მუშები და სწავლობენ. სკოლაში საქმე გვარიანათ არის მოწყობილი, მაგრამ, სამწუხაროთ, მოლოდინი სავსებით არ გამართლდა. მოსალოდნელი იყო, რომ სასწავლებელში რაც შეიძლება მეტი მუშები ივლიდენ, რაც შეიძლება მეტათ დაეწაფებოდენ მეცადინეობას, მაგრამ ჯერ-ჯერობით მხოლოდ 60—65 მუშა ესწრება მეცადინეობას და ამ რიცხვს არ ემატება. სამწუხაროთ, ჯერ კიდევ ძლიერია ჩვენ მუშებში გულგრილობა და აპატია, ჯერ კიდევ ვერ შეუგნია ბევრს ის ანბანური ჭეშმარიტება, რომ ყველაზე მეტათ ცოდნას მუშები საჭიროებენ. ამიტომ გამგეობის ვალია სხვებთან ერთათ მიიღოს ენერგიული ზომები, წაახალისონ მუშები, დააინტერესონ თავიანთ მოქმედებით და რაც შეიძლება მეტი მოიზიდონ. ამასთან არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ ძლიერ კარგი საქმეა წერა-კითხვის და ანგარიშის სწავლება, მაგრამ დღევანდელ გართულებულ პირობებში მარტო ამით შორს ვერ წავალთ. ამ აუცილებელ მეცადინეობასთან ერთათ საჭიროა და ძლიერათაც საჭირო, გაიმართოს (დრო-გამოშვებით მაინც) პოპულიარული საუბარი, ლექციები ამა თუ იმ კითხვაზე, რომ მით ხელი შევუწყოთ მუშების და მდაბიო ხალხის გათვითცნობიერებას, რაშიაც, როგორც მოგეხსენებათ, არსებითათ მდგომარეობს «განმანათლებელი საზოგადოების» დანიშნულებაც. ყოველი დასაწყისი, რა თქმა უნდა, ძნელია, მაგრამ პირველი ძნელი ნაბიჯი ჩვენმა საზოგადოებამ უკვე გადადგა. ვუსურვოთ მას, რომ სხვა მხარეებიც შეევსოს და მეტი და მეტი ცოდნის შეძენის მსურველი მიიზიდოს.

გალია.

—

**სად. სუფსა** (გურია). სადგურ სუფსიდან სად. ჯუმათამდე არის სამოსახლო მიწები, რომლებსაც უფლობდენ ჯუმათელი და ჩოხატელი ჭყონიები. კარგა ხნიდან ამ ადგილზე მათ დავა ქონებიათ გამოცხადებული, მაგრამ თურმე არ ამედავნებდენ. 1905 წლიდან ამ ადგილებში ჩამოსახლდენ სხვადასხვა კუთხიდან მოსახლეები. სამოსახლო მიწები მათ მიყიდეს ჭყონიებმა და ნაყიდობაც მისცეს. ახლა, როგორც დანამდვილებით გვიგე, ჭყონიებს ეს მამული წაუგიათ. ეხლა ადგილობრივი ბოქაული თავისი სტრაჟნიკებით დადის ზემოხსენებულ მოსახლეებთან და ეზოს ფულს სთხოვს ვინც მოიგო მათ სასარგებლოთ, მოსახლეები შეძრწუნებული არიან—არ იციან რა გზას დაადგენ. მართალია, მათ აქვთ ჭყონიების მიერ მოცემული ნასყიდობითი პირობა, რომლის დარღვევისათვის ჭყონიები ვალდებული არიან ჯარიმა გადაიხადონ, მაგრამ თითოეულ მათგანს ოცამდე ასეთი პირობა აქვთ გაცემული და ამდენის აღება კი შეუძლებელია. საჭიროა ზომების მიღება ასეთი შანტაჟის წინააღმდეგ.

— 15 დღეა, რაც აქ მიწების ბაჟს კრეფენ, ძველ და ახალ გადასახადს ერთათ ახდევინებენ გლეხებს, რაც უკიდურეს მდგომარეობაში აყენებს მათ.

— როგორც ამას წინათ მქონდა მოხსენებული, გასულ წელს სათავად-აზნაურო და საგლეხო ბანკებმა აქ მიწის ღალას მოუმატეს, პირველმა ორი მანეთი ქცევაზე და მეორემ ერთი. მათ კერძო მემამულეებიც მიემხრენ და იმათაც მოუმატეს ღალას. ამან დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია გლეხებში, მაგრამ ბოლოს დასთანხმდენ ამ პირობაზე. ეგონათ აწი მაინც აღარ მოგვიმატებენო, მაგრამ მოსტყუვდენ—საგლეხო ბანკმა უკვე განოაცხადა მომავალ წ. ექვსი მანეთი უნდა მოგვცე ქცევაზეო; ეგვი არაა, მემამულეებიც მის მაგალითს მიბაძავენ და მოუმატებენ ღალას.

— ამ ბოლო დროს ჩვენში ძლიერ გახშირდა ქალების მოტაცება.

გახუმტე.

—

**ს. ჭორვილა** (ჭიათურის რაიონი). ძნელათ მოიძებნება ასე ყოველ მხრივ დაბეჩავებული და ჩამორჩენილი სოფელი. არც სკოლაა აქ, არც რაიმე კულტურული დაწესებულება. აზრათაც არავის მოსდის ამაზე ზრუნვა. მხოლოდ ბნელი ძალები ფარფაშობენ და ბატონობენ აქ, მათი თავაშვებულება ვერავის შეუკავებია: ვერც ხალხს, ვერც ადმინისტრაციას. თითქმის მთელი სოფელი ქურდების და წვრილ-ფეხა ბატკების ბუდეთ გამხდარა,—ისე კვირა არ გაივლის, რომ არ გაიგონოთ: აქ ცხენი მოიპარეს, იქ ხარი, აქ ბედელი გაქურდეს და სხვა ასეთი. ეს საშინელი სენი დიდის არის ჩვეულებრივ მოვლენათ გადაიქცეს აქ. ჭიათურის რაიონის არც ერთ სოფელში არ ხდება ამდენი ავაზაკ-ქურდობა, რამდენიც ჭორვილაში. თავისუფლების დღეების დროს ქურდები ალაგმული იყვნენ, „ერთობის კაცების“ შიშით თუ ჩაგონებით ვერას ბედავდენ. შენიშნულმა პირებმა მაშინ პრიგოვორიც კი შეუკრა ხალხს, თუ რაიმე შეგვამჩნიოთ აწი დაგვსაჯეთო, მარა თავისუფლების დღეების გაქრობასთან ერთათ ამ პრიგოვორის ძალაც გაქრა და ბნელმა ძალებმაც კვლავ გაშალეს ფრთები. „რაკი ერთობა არ არის და არ გვაკავებს, ადმინისტრაციას რაში შევეშუებითო“,—გაიძახიან. გამწარებულმა სოფელმა თხოვნით მიმართა გუბერნატორს, მარა დღემდის არაფერი პასუხია.

მ—ი.

## წერილი რედაქციის მიმართ

—

ბ. რედაქტორო! ვიმედოვნებ ამ წერილის თქვენს გაზეთში მოთავსებით საშუალებას მომცემთ გამოვაცხადო ამ ჟამათ ჩემთვის საძნელო მდგომარეობა საზოგადოების და თვით ამ მდგომარეობის შემქნელთა საყურადღებოთ.

კარგა ხანია, რაც იძულებული შევიქენი ჩემი სოფელი დამეტოვებია. ამ ხნის განმავლობაში ბევრი არა სასიამოვნო წუთი მიცდია და ხშირათ სახლში ხელმისაწდომი მის გარედ მიუწდომლათ გადამქცევია, მაგრამ ყოველივეს ვიტანდი. ვიტანდი მხოლოდ იმიტომ, რომ სოფელში ჩემზე უკმაყოფილო წრის შურის გებისაგან მეხსნა მოხუცი, ოთხმოც წელს მიღწეული მშობლები, რა კი არ მქონდა საშუალება და უძლური ვიყავ დამეძლია ყველა ისინი, ვინც ჩემს გამო იმათ სდევნიდა, გადავსწყვიტე ერთხელ და სამუდამოთ გავშორებოდი სამშობლო კერას, მაგრამ ესეც საკმარისი არ დარჩა და დღესაც მიცრემლებენ დედას, მიკვნესებენ მამას და განადგურებას უქადიან ოჯახს. «გვიპატიეო“ მემუდარება დედ-მამა, „დედ-მამა რათ არ დეცთდებაო“ მითვლის ამხანაგი. ასეთი გარემოების შექმნის მიზეზი მარტო ის კია, რომ აქა იქ ვიღაც (შეიძლება ზოგჯერ მეც) და წერს რაიმე ამბავს ლეჩხუმისას. მახინჯს თავისი სიმახინჯის დანახვა რა თქმა უნდა არ ესიამოვნება და გასაკვირიც არ არის, რომ მან სარკე დაამტვრიოს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში რა შუაშია მამა ჩემი ან კიდევ დედა, საკმარისია რომელიმე გაზეთში ამოიკითხონ ლეჩხუმში ესა და ეს მოხდაო და მორჩა პასუხისგება ჩემს დედ-მამას არ სცილდება. ამას წინათ იუმორისტულ ჟურნალ „მათრახ-სალამურში“ რაღაც ლექსი იყო ვგონებ ამ სათაურით: «ლეჩხუმური ოცნება“. ერთად-ერთი სახელი ამ ლექსში მოხსენებული იყო ბიჭია და მე დღემდე ვერ გავიგე ვინ არის ეს ბიჭია! მართალია, ვიცოდი ლეჩხუმელ თავადთა შორის ერთი ბიჭია, მაგრამ ის აგერ ოთხი წელიწადია რაც გარდაიცვალა. სწორედ ამ ლექსის გამო თავადებს გრამიტონ ფარნაოზის ძეს და კოსტანტინე ყარამანის ძეს გელოვანებს ჩემი დედ-მამისათვის მიუგზავნიათ მღვდელი ვლადიმერი ბოჭორიშვილი და „აფთიაქირი“ (ასე ეძახიან სოფლად) ლავრენტი ყარამანის ძე ღოღელიანი იმ წინადადებით, რომ თუ ისინი მე წერას არ დამთხოვენ, იმ შემთხვევაში ცუდათ წავა იმათი საქმე. ამან დიდი უსიამოვნება მიაყენა დედ-მამას.

არ ვიცი რაგვარად ვიპატიო მოხუცი დედ-მამა ამ ახირებული ხალხისაგან. იმათგან ყოველივე მოსალოდნელია.

ყოველ შემთხვევაში, ვთხოვ ჟურნალ „მათრახსალამურის» რედაქციას გამოაცხადოს, რომ ამ ჟურნალში მოთავსებული «ლეჩხუმური ოცნება» მე არ დამიწერია, უმორჩილესათ ვთხოვ გაზეთ „დროების“ რედაქციასაც გადაბეჭდოს ეს ჩემი წერილი.

რ. ყიფიანი.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. მელიქ-მახნაზარიანცი

## განცხადება

„სორაპნის“ ამხ. გამოცემა.

**ქართველი და უცხოელი მწერლები**

მიიღება ხელის მოწერა

მეოთხე წიგნზე

**„ბანდებილი“**

**ლექსები და მოთხრობები.**

წიგნი ჩვეულებრივი ფორმატის იქნება **225** გვ. და ხელის მომწერლებისთვის ეღირება **25** კაპეიკი კუპონიანა ავტორის სურათით და მოკლე ბიოგრაფიით. ეს გამოცემა გაცილებით **გაუმჯობესებული** იქნება ყოველის მხრით წინანდელ ჩვენ გამოცემებზე. ხელის მოწერა მიიღება ყველა ჩვენ აგენტებთან პროვინციაში. ხელის მოწერა დაიწყება **15** დეკემბერს და გათავდება **25** იანვარს.

**წიგნი ცალკე გასასყიდათ არ გამოვა**

ვისაც სურს პირდაპირ დაბარება, მან უნდა გამოგზანოს ფოსტის მარკები—40 კაპ. წიგნი გამოვა თებერვლის 25 რიცხვებში. (30—11)

ადრესი: **Тифлисъ, Т—во «Сорапанъ».**

---

**გამოცდილი**

## მასწავლებლები

დებულობენ და ამზადებენ ქალ-ვაჟს დაბალ და საშუალო სასწავლებლებისთვის:—გიმნაზიისთვის, რეალურ, კომერციულ, სამასწავლებლო სემინარიისთვის, ტეხნიკის, საფერშლო, სამოქალაქო, სასულიერო სასწავლებ., ამზადებენ ყველა ხარისხის ჩინზე, ერთ-და ორ-კლასიან სამასწავლებლო ხარისხზე. დებულობენ ანბანის უცოდინარ ბავშვებსაც. მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე თავდება საღამოს 8 საათ. იყვანენ მოსწავლეებს პირობებითაც. სწავლის ფასი ყველასათვის ხელმისაწდომია. მოლაპარაკება მასწავლებლებთან შეიძლება—7 იანვრამდის დილის 9 საათიდან—2 ს-მდე. 7 იანვრიდან ნაშუადღევის 2 საათიდან საღამოს 6 საათამდე.

ადრესი: **I-ая Тумановская ул. д. № 15 кв. 2.**

მეცადინეობა იქნება,—ვაგზლის ახლოს, გოლოვინის ძლგლ. ახლო და ვერაზე. დებულობენ-კი ზემოხსენებულ ადრესზე.

0—2

---

კახეთის მევენახეთა ამხანაგობა

## ხირსა

გაიხსნა ოლგისა და ბელინსკის ქუჩების კუთხეში ტატო გაბაშვილის შენობის სარდაფში.

იყიდება ნამდვილი კახური ღვინო ძლიერ იაფად ბოთლი—15-დან—30 კაპეიკამდე. (0—3)

---

Съ января 1910 г. С.-Петербургѣ начнетъ выходить еженедѣльн. журналъ

## „Жизнь Кавказа“,

органъ печати научный, прогрессивный, свободный отъ всякихъ національныхъ симпатій и антипатій

**Газета ставитъ себѣ цѣлью всестороннюю освѣдомленность по всѣмъ вопросамъ Кавказа.**

Годовая цѣна «Жизни Кавказа» 7 р., полуг 4 руб. Цѣна объявленій впер. текста: стран. большого формата 100 р., 1/2 стран.—60 р., 1/4 стр.—35 р., и позади текста: стран. 60 р. полстран.—35 р и 1/4 стран.—20 р. Подписка на журналъ и объявленія принимаются или адресуется: С.-Петербургъ. Главная Контора журнала „Жизнь Кавказа“—книжный магазинъ «Наша Жизнь», Литейный пр., 32. 2—2.

редакторъ-издатель **А. Котельниковъ.**

---

კაზმული მწერლობა მხატვრობა—მუსიკა—თეატრი.

## „ფასკუნჯი“

**სალიტერატურო—სამხატვრო ჟურნალი 1910 წლის**

**იანვრიდან გამოვა თვეში ერთხელ თვიური ჟურნალის სახით.**

„ფასკუნჯში“ დაიბეჭდება მოთხრობები, ლექსები, პიესები; კრიტიკული და ისტორიული წერილები კაზმული მწერლობის, მხატვრობის, მუსიკის და თეატრის შესახებ; ხელოვნების ქრონიკა, და

**—სურათები—**

ფერადები და ფოტოტიპიური ერთფერი

„ფასკუნჯი“ განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ქართული ხელოვნების ნაშთებს.

გარდა ჟურნალისა ყოველ ხელის-მომწერს, რომელიც მთლად გადაიხდის წლიურ ფასს, საჩქაროდ მიეცემა.

**✖ შოთა რუსთაველის ✖**

**დიდი ფერადი სურათი (11+8 ვერშ. ზომით)**

„ფასკუნჯში“ მონაწილეობას მიიღებენ: აკაკი, კ. აბაშიძე, შ. არაგვისპირელი, განდეგილი, ი. გომართელი, ი. ევდოშვილი, ან. ერისთავი-ხოშტარია, დუტუ მეგრელი, ს. მგალობლიშვილი, დ. ლუკაშვილი, ვ. მალაქიაშვილი, ნ. ლომაური, ნ. ნაკაშიძე, ი. ნაკაშიძე, ი. ნიკოლაძე, თ. რაზიკაშვილი, გრ. რობაქიძე, ა. სარაჯიშვილი, სიტყვა, ზ. ფალიაშვილი, ი. ფანცხავა, ალ. ხახანაშვილი, ვ. შალიკაშვილი, ა. შანშიაშვილი, ტ. შევარდენაძე, მ. ჯავახიშვილი, კ. ყიფიანი, გრ. ყიფშიძე და სხვა.

ჟურნალის სამეურნეო ნაწილის (ბეჭდვა, დასურათება და სხვა). გამგენი არიან: კ. მესხიშვილის ლიტოგრაფია და „სორაპანის“ სტამბა.

ჟურნალის ფასი: ერთი წლით 5 მ., 6 თვით 3 მ. წლიური ფულის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილათ: თავში 2 მ., მაისში 2 მ. და სექტემბერში 1 მან.

ჟურნალი ნომრობით არ გაიყიდება. პირველი ნომერი გამოვა 25 იანვარს.

ხელის-მოწერა მიიღება თფილისში: კ. მესხიშვილთან, „სორაპანის“ სტამბაში და წ. კ. საზოგადოების მაღაზიაში. პროვინციაში აგენტებთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, типографія „Сорапанъ“

(6—2) რედაქტორ-გამომცემელი ს. ფირცხალავა.